ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამმართველო

G E O R G I A
Directorate for Environment and
Natural Resources of
Ajara Autonomous Republic

6010, ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. №124
№ 124, Vakhtang Gorgasali st., Batum, 6010

ტელ: (0422) 27 35 91 ფაქსი: (0422) 27 35 90
Tel: (0422) 27 35 91 Fax: (0422) 27 35 90

N 08/424
20/07/2022

424-08-2-202207201730
https://edocument.ge/AdjaraGov/public

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ბატონ გია აბულაძეს

ბატონო გია,

თქვენი 2022 წლის 6 ივლისის N09-02-16/430 სადეპუტატო კითხვის პასუხად გაცნობებთ:

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული პროგრამის ,,გარემოსდაცვითი პროგრამის“ ქვეპროგრამით ,,ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი“ გათვალისწინებული იყო ატმოსფერული ჰაერის 132 სინჯის ანალიზის მომსახურების შესყიდვა. აღნიშნული შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები, რომელთაგან NAT220000871 - იმის გამო, რომ პრეტენდენტს არ გააჩნდა აკრედიტაცია შესაბამის სფეროში, დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო NAT220002910 - არ შედგა. შესაბამისად ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში 2022 წლის 27 ივნისის N56-რს ცვლილებით გაუქმებული იქნა ღონისძიება ,,ატმოსფერული ჰაერის სინჯების ანალიზი“.

აქვე გაცნობებთ, რომ პროგრამის ,,გარემოსდაცვითი პროგრამის“ ქვეპროგრამით ,,ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი“ გათვალისწინებული ღონისძიება ,,ატმოსფერული ჰაერის სინჯების ანალიზი“ გათვალისწინებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით (პრიორიტეტების დოკუმენტით) და მისი განხორციელება გაგრძელდება 2023 წელს.

რაც შეეხება წინა წლებს, ქვეპროგრამის ,,ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი“ შედეგად გამოვლენილ ,,გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებს, შედეგები სათანადო რეაგირებისათვის გადაგზავნილია საქართველოს გარემოს დაცვისა

და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში.

გარემოსდაცვითი ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის.

პატივისცემით,

ჯემალ ნაკაშიძე

სამმართველოს უფროსი